სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №2018-57

ქ. თბილისი

24 მაისი 2018 წ.

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ , შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნიკა ახალბედაშვილის სახით და შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაკურ მირიანაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

1.7. „ექსპერტიზის დასკვნა“ - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია - სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ქ. თბილისში, ბუდაპეშტის ქ. N2; 8 სართულიანი შენობის, პირველ სართულზე არსებული საოფისე ფართის უკანა მხარის ფასადზე დამონტაჟებული გაგრილება-გათბობის სისტემის გარე ბლოკების გვერდით ფასადზე გადასატანი სამუშაებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენის მომსახურების შესყიდვა. დანართი N1 (ტექნიკური დავალება) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. (CPV:71321200);

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს დღგ-ს ჩათვლით 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს, მათ შორის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. დანართი N1-ით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენა განხორციელდება არაუგვიანეს 2018 წლის 22 ივნისისა. აღნიშნულ ვადაში პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემული დადებით საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საექსპერტო დასკვნის ღირებულების ანაზღაურება.;

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად ან მომსახურების გაწევისას გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან და შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადებში.

4.3. მომსახურების გაწევა იწარმოებს საჭიროებისამებრ, შემსყიდველის ან/და მომწოდებლის მისამართზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნის და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ინსპექტირების პირის შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

6.2.1 აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6.3 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

6.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

6.3.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად ან მომსახურების გაწევისას გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1 მომსახურების გაწევა განახორციელოს საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციისა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნათა სრული დაცვით.

6.4.2 უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად ან მომსახურების გაწევისას გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან და შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადებში.

6.4.3 საჭიროების შემთხვევაში,წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავებული პროექტის განხორციელების (სამუშაოთა წარმოების) პერიოდში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს პროექტში შემსყიდველის მიერ მითითებული ცვლილებების შეტანა შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეცვლილი საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის აუცილებლობისას, ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი.

6.5 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

7.2. ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს საფინანსო სამსახურის უფროსი ანა თოლორაია _____

7.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: 2018 წლის საკუთარი სახსრები.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურეობის გაწევის შემდეგ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის, ინსპექტირების აქტის და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10

სამუშაო დღის ვადაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების პირობების გადახედვა

9.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებში ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მისი 10%-ის ფარგლებში;

9.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 1%-ის ოდენობით;

10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 1%-ის ოდენობით;

10.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება ქვს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულბის 20%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას კუთვნილი პირგასამტეხლოს ოდენობით შეამციროს გაწეული მომსახურების ღირებულება.

10.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 წარმოშობილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკებით.

12.2 თუ მხარეები მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმებით გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

13.1 თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით;

13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას, როცა მეორე მხარე უარს ამბობს ხელშეკრულების მისადაგებაზე შეცვლილ გარემოებებთან, ან შეუძლებელია შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება;

13.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ,

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად, მიმწოდებლის მიერ, შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებზე (კერძოდ პროექტზე) ქონებრივი საავტორო უფლებები ეკუთვნის შემსყიდველს;

16.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება მომწოდებელთან, ერთი ემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“,
წარმოდგენილი თავმჯდომარის
ნიკა ახალბედაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ 2,
ტელეფონი: 2 94 16 51,
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ანგ. №707407076,
ბანკის კოდი TRESGE22,
სკ - 203862622

მიმწოდებელი:

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი',
წარმოდგენილი დირექტორის
ბაკურ მირიანაშვილის სახით,
მისამართი: ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზ.N2/პეკინის ქ.N34,
ტელეფონი: 2 37 52 26
საბანკო რეკვიზიტები:
პროკრედიტ ბანკი
ანგ. № GE78TB7209236050100001,
სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE 22
სკ - 205286616

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი: ხელშეკრულების საგანია - სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ქ. თბილისში, ბუდაპეშტის ქ. №2; 8 სართულიანი შენობის, პირველ სართულზე არსებული საოფისე ფართის უკანა (შიდა ეზოს) მხარის ფასადზე დამონტაჟებული გაგრილება-გათბობის სისტემის გარე ბლოკების გვერდით ფასადზე გადატანის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენა.

პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მიღება:

მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოამზადოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N3974048 გადაწყვეტილებასთან თანხვედრაში.

მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა მოაწოდოს:

საინჟინრო პროექტი (მუშა დოკუმენტაციით); გამოსაყენებელი მასალების, რაოდენობების მიხედვით. სახარჯთაღრიცხვო ღირებულებების განსაზღვრისას შემსრულებელმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. „სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილებით. ასევე პრეტენდენტმა პროექტის შედგენის დროს უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა (კალენდარული გრაფიკი, რომელიც სასურველია გათვლილი იყოს მაქსიმალურად მოკლე ვადებზე); სამუშაოს განხორციელების ტექნოლოგიური ეტაპები და მეთოდები; ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს სამუშაოების შემსრულებლისათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.
პროექტის გრაფიკული ნაწილი შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისთვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაცია.
მიმწოდებელმა საბოლოო შესრულებულ სამუშაოზე დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ალბომის სახით ნაბეჭდი ვერსია, 2 ეგზემპლარად.

ასევე შემსყიდველს უნდა გადაეცეს CD-ვერსია (ელექტრონული)

„შემსყიდველი“

ნიკა ახალბედაშვილი

„მიმწოდებელი“

ბაკურ მირიანაშვილი

განცხადება

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

24 მაისი 2018 წელი

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარე, საფინანსო სამსახურის უფროსი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან - შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-სთან (ს/კ 205286616)

ნიკა ახალბედაშვილი

თავმჯდომარე

ანა თოლორაია

ფინანსური მენეჯერი